განმარტებითი ბარათი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბ-ნ ა. ფრანგიშვილის და სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ბ-ნ დ. გურგენიძის დავალებით შესწავლილი იქნა მოქალაქეების მ. მღებრიშვილის, ლ. ბანძელაძის და ნ. გოგსაძის განცხადების საფუძველზე ქ. თბილისში, პ. სარაჯიშვილის ქუჩა №7ბ-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეთანხმების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2017 წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის წყალმომარაგებისა და წყლის რესურსების დაცვის და ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გ. სოსელია, სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორის ხელმძღვანელი ვ. დვალიშვილი და უფროსი ინჟინერი თ. ნინიძე გასულ იყვნენ უშუალოდ ობიექტზე და განახორციელეს სიტუაციის შესწავლა და არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია (სურ. 1÷5).

საპროექტო ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 5-6 მეტრით, სახლებს შორის გადის ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემის მაღალწნევიანი d=1220მმ-იანი ფოლადის მილი (სურ. 1). პ. სარაჯიშვილის ქუჩაზე საპროექტო ტერიტორიის უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ გადის ასევე ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემის d=900მმ-იანი მაღალწნევიანი მაგისტრალური მილსადენი (სურ. 4, 5). აღნიშნულ მილსადენებში გადაადგილდება 1700ლ/წმ (6120მ³/საათში) და 950ლ/წმ (3420მ³/საათში) წყლის რაოდენობა, შესაბამისად.

სამშენებლო მოედანზე შესასვლელი ერთადერთი გზა კვეთს სწორედ აღნიშნულ მილსადენებს (სურ. 3). მილსადენების ხანდაზმულობა, ადგილობრივი რელიეფის სირთულე და სახლებს შორის სივრცეში ავარიული სამუშაოების ჩატარების შეუძლებლობას განაპირობებს მრავალსართულიანი სახლის მშენებლობისათვის უაღრესად მაღალი რისკ-ფაქტორი.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა აღნიშნულ პირობებში დაუშვებელია. სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია GWP-თან შეთანხმებული სპეციალური პროექტის საფუძველზე, სადაწნეო მილსადენის გადატანის შემთხვევაში.

სტუს-ს სამშენებლო ფაკულტეტის
წყალომომარაგებისა და წყლის რესურსების
დაცვის და ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი გ. სოსელია

სტუს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო,
სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის
ხელმძღვანელი ვ. დვალიშვილი